17/02/2021

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი (16.02.2021)



ბატონ ზურაბ ვარაზის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს

გამოვთქვამთ მწუხარებას ბატონი ზურაბის გარდაცვალების გამო. მან თავისი ცხოვრება ეკლესიას დაუკავშირა და ბოლომდე მის სამსახურში იყო. იგი ყველას დაამახსოვრდება როგორც მშვიდი, ღვთისმოშიში, დაუზარელი, ფრიად კეთილი ადამიანი.

მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა: სამედიცინო გამოკვლევისთვის მამა გაბრიელისგან (ურგებაძე) აღებული სისხლი მასთან მოხვდა და შეინახა. როდესაც, კარგა ხნის შემდეგ, ბატონმა ზურაბმა სინჯარა მოიძია, აღმოჩნდა, რომ სისხლი ახლადაღებულივით იყო. (დღეს ეს სიწმინდე ეკლესიაში ინახება). წმინდა მამასთან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა და ამ ფაქტითაც დაუკავშირდა.

ღირსი მამა გაბრიელის მეოხებით, უფალმა შეიწყალოს ბატონი ზურაბის უკვდავი სული და სავანესა მართალთასა დააწესოს, ხოლო ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მომადლოს მშვიდობა და შინაგანი სიმტკიცე.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

**ბატონ ზურაბ ვარაზის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს**

გამოვთქვამთ მწუხარებას ბატონი ზურაბის გარდაცვალების გამო. მან თავისი ცხოვრება ეკლესიას დაუკავშირა და ბოლომდე მის სამსახურში იყო. იგი ყველას დაამახსოვრდება როგორც მშვიდი, ღვთისმოშიში, დაუზარელი, ფრიად კეთილი ადამიანი.

მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა: სამედიცინო გამოკვლევისთვის მამა გაბრიელისგან(ურგებაძე) აღებული სისხლი მასთან მოხვდა და შეინახა. როდესაც, კარგა ხნის შემდეგ, ბატონმა ზურაბმა სინჯარა მოიძია, აღმოჩნდა, რომ სისხლი ახლადაღებულივით იყო. (დღეს ეს სიწმინდე ეკლესიაში ინახება). წმინდა მამასთან მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა და ამ ფაქტითაც დაუკავშირდა.

ღირსი მამა გაბრიელის მეოხებით, უფალმა შეიწყალოს ბატონი ზურაბის უკვდავი სული და სავანესა მართალთასა დააწესოს, ხოლო ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მომადლოს მშვიდობა და შინაგანი სიმტკიცე.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

16.02.2021.

patriarchate.ge